

## გააცოცხლე ქართული ფეხბურთი

როგორც ყველა სპორტი ფეხბურთიც არის ბიზნესი. როდესაც კლუბს ჰყავს გულშემატკივრები - იყიდება სუვენირები, სტადიონის ბილეთები, კლუბს სარეკლამო ადგილები, ხოლო ეს ყველაფერი აისახება ფეხბურთელების ხელფასებზეც და პრემიებზეც.

მაგრამ ფეხბურთის განვითარება არ არის დამოკიდებული, მხოლოდ ფეხბურთელებზე და ფინანსებზე. ფეხბურთელს, რომელსაც სტადიონზე ჰყავს გულშემატკივარი, გრძნობს პასუხისმეგობლობას, მისი მოტივაცია იზრდება და თითოეული აპლოდისმენტი ამხნეებს და მატებს მას შემართებას. შესაბამისად იზრდება ფეხბურთელის მოტივაცია, რომ უკეთესად ითამაშოს, რაც უფრო სანახაობრივს ხდის ფეხბურთს, გულშემატკივრები კმაყოფილები არიან და გუნდიც მეტ წარმატებას აღწევს.



# გადაწყვეტა

კამპანიის პირველი თაზა - ეს ჩვენი პროფესიაა

შეიქმნება Facebook გვერდი “გააცოცხლე ქართული ფეხბურთი” - სადაც დაიდება ინფორმაცია “პროლიგის”, და მასში მონაწილე გუნდების შესახებ ინფორმაცია.

აქვე დაიდება ვიდეოები სადაც პირდაპირი ჩართვით (livestream) - დავინახავ როგორ ვარჯიშობენ კლუბები, კონკრეტული მოთამაშეები, და როგორ ემზადებიან მომდევნო თამაშისთვის. როდესაც იცინა რომ მათ გულშემატკივრები აკვირდებიან, გაცილებით მონდომებულები ვარჯიშობენ.

მოთამაშეები მაყურებელს პატიუბენ თამაშზე და იძახიან მთავარ მესიჯს: “გააცოცხლე ქართული ფეხბურთი”.



## OUTDOOR

“პრო ლიგის” დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე ქალაქში გამოჩნდება outdoor პრინტ კამპანია - “გააცოცხლე ქართული ფეხბურთი”.





## კამპანიის მეორე ფაზა - როლების გაცვლა

ქართული კლუბების ფეხბურთელები ერთი დღის განმავლობაში მოულოდნელად ყოველდღიური ტანსაცმლით, მოინახულებენ ლოკალურ სტადიონებს, რომლებზეც თამაშობენ ბავშვები, ან მოზრდილები და როგორც ნამდვილი ქომაგები, ისე უგულშემატკივრებენ მათ. ამ ყველაფრის გადაღება მოხდება ვიდეო კამერით.

რამდენიმე გოლის შემდეგ მოვისმენთ ერთ-ერთი მოთამაშის ინტერვიუს - რომელიც პასუხობს კითხვებს - რა იგრძნო როდესაც მას გულშემატკივრობდნენ? რა იგრძნო როდესაც გოლი გაიტანა? რა განსხვავებაა როდესაც გყავს გულშემატკივარი?

ლოკალური კლუბის ფეხბურთელები გაეცნობიან მათ და დაპატიუებენ მომავალ თამაშზე. ეს ყველაფერი დამონტაჟდება და დაიდება ვიდეოს სახით Facebook გვერდზე.





## კამპანიის მესამე ფაზა - გაცოცხლება

“პრო ლიგის” პირველი თამაშზე, რომელიც გაიმართება, საქართველოში ყველაზე დიდ, ბორის პაიჭაძის სტადიონზე, მისულ მაყურებელს თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით აღრე დახვდებათ უცნაური სანახაობა.

ბურთის პირველ შეხებამდე, სტადიონზე მყოფი 22 ფეხბურთელი, წამოწოლილები განაწილდებიან მოედანზე.





რა იქნებოდა თქვენი რეაქცია:

გაგიკვირდებოდათ? შეგეშინდებოდათ? მიხვდებოდით, რომ რაღაც ხდება? მოიმარჯვებდით ტელეფონს და დაიწყებდით გადაღებას?

ამ დროს, ტრიბუნის მთავარ ეკრანზე გამოჩნდება შემდეგი ტექსტი და ღინამიკებში გვესმის ხმა:

“გგონიათ, რომ თამაშს მხოლოდ ფეხბურთელები ქმნიან?”

“თამაშს ქმნით თქვენ!”





თქვენი მიზებით ღელავენ მოთამაშეები ყოველი თამაშის წინ გასახდელში.  
თქვენი გამხნელება სურთ ყოველ გაშვებულ შანსზე და  
თქვენ გიზიარებენ ყოველ გატანილ გოლს.  
თქვენ გაქვთ ძალა გაამძაფროთ თამაში.

თამაში თქვენს ხელშია.

დაუკარი ტაში შენს გუნდს და გახადე სანახაობა საინტერესო - “გააცოცხლე ქართული ფეხბურთი !“






ამ დროს ეკრანზე გამოჩნდება “ტაშო-მეტრი” - რომელიც რეაგირებს ხმაურზე. რაც უფრო მეტი ადამიანი დაუკრავს ტაშს მით უფრო გაიზრდება ტაშო-მეტრის მაჩვენებელი და როდესაც ის მაქსიმუმს მიაღწევს მთელი სტადიონი განათდება, მოთამაშეები წამოდგებიან ტაშითვე უკასხებენ მაყურებლებს და შემართებით დაიწყებენ თამაშს.





ეს ყველაფერი გაშუქდება ტელევიზიით, დაიდება სამოყვარულო კამერებით გადაღებული ვიდეოები სოციალურ ქსელებში. ხალხი დაინყებს მომხდარის განხილვას. ამ ყველაფერს კი აუცილებლად თან გაყვება კამპანიის მთავარი მესიჯი - "გააცოცხლე ქართული ფეხბურთი!".

LIVE



ახალი ამბები

გულშემატკივრებმა დღეს ქართული ფეხბურთი გააცოცხლეს

ეს კამპანია იქნება ერთჯერადი, თუმცა “ტაშო-მეტრები” დამონტაჟდება ყველაზე დიდ 3 სტადიონზე. თამაშის განმავლობაში რამდენჯერმე ტრიბუნის ეკრანზე გამოჩნდება “ტაშო-მეტრის” მაჩვენებელი, რომელიც ერთის მხრივ, ტაშის დაკვრის ერთგვარი ბიძგი იქნება სტადიონზე მისული მაყურებლისთვის, ხოლო მეორეს მხრივ ერთგვარი მოტივაცია და პასუხისმგებლობა მოთამაშეებისთვის.



თუ თამაშის დროს „ტაშო-მეტრის“ - მაჩვენებელი მაქსიმუმს მიაღწევს, ესეიგი გულშემატკივარმა შეიტანა თავისი წვლილი საინტერესო თამაშის შექმნაში.

ამ კამპანიით ჩვენ ხაზს ვუსმევთ ფეხბურთელის და გულშემატკივარის ურთიერთდამოკიდებულებას და თანაბრად ვანაწილებთ სანახაობრივი თამაშის პასუხისმგებლობას.